

**EXPRESSIVENESS AND EMOTIONALITY EXPRESSED
IN PHYTONYMIC IDIOMS
(BASED ON GEORGIAN AND FRENCH CORPUS)**

**ფიტონიმურ იდიომებში გამოხატული ექსპრესიულობა და ემოციურობა
(ქართული და ფრანგული კორპუსის ბაზაზე)**

Sophio Kakhidze

Doctor of Philology,

Invited Senior Teacher of Batumi Shota Rustaveli State University,

32/35 Rustaveli/Ninoshvili Str., Batumi, 6010, Georgia,

+995 577224022, skakhidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0006-6859-8266>

Abstract. The aim of the article is to demonstrate the power and influence of emotionality and expressiveness in phytonymic idioms obtained from a Georgian and French corpus through a comparison of the two languages, and, as a result of this comparison, to identify similarities and differences in perception and influence existing between two different cultures.

Phytonyms are one of the distinctive and rather rich parts of the vocabulary, representing an interesting object of study due to its depth, although in the case of the idiom it is even more interesting because the wealth of the nation, embedded in them and passed and pass down from generation to generation, is very valuable for research both linguistically and culturally, especially as people use idioms more and more frequently in their everyday life. You know well enough, that their translation and understanding is not so easy if we do not know the target nation's culture, and that's why, this type of research therefore helps us, by comparing the Non-Material Culture heritage of unrelated languages, to show the Expressiveness and Emotionality of the perception and understanding of the World by representatives of two different nations.

Phytonymic idioms carry a great expressive and emotional charge. Emotionally colored Phraseophytonyms and their Expressiveness are interesting to be investigated from different angles. The goal of our research is to characterize Georgian and French Phytonymic idioms in terms of expressive and emotional features, and to group them from a lexical and semantic perspective through comparative analysis.

Keywords: Idiom, Phytonym, Culture, Expressiveness, Emotion, Concept, Phraseology, Phraseophytonyms.

სოფიო კახიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მოწვეული უფროსი მასწავლებელი,

ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35, საქართველო, 6010,

+995 577224022, skakhidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0006-6859-8266>

აბსტრაქტი. სტატიის მიზანია ქართული და ფრანგული კორპუსის ბაზაზე მოპოვებულ ფიტონიმურ იდიომებში ექსპრესიულობისა და ემოციურობის ძალის და გავლენის წარმოჩენა ორი ენის შედარების გზით და ამ შედარების შედეგად მსგავსი და განსხვავებული აღქმისა და გავლენის გამოკვეთა ორ განსხვავებულ კულტურაში.

ფიტონიმები ლექსიკის ერთ-ერთი გამორჩეული და საკმაოდ მდიდარი ნაწილია, რომელიც თავისი სიღრმით საინტერესო კვლევის ობიექტია, თუმცა იდიომებში ის უფრო და უფრო საინტერესოა, რამეთუ მათში ჩაქსოვილი ერის სიმდიდრე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და გადაეცემა, კვლევისთვის ძალიან ძვირფასია როგორც ენობრივი, ასევე კულტურული თვალსაზრისით, მით უფრო როცა იდიომებს ადამიანები დღეს უფრო და უფრო ხშირად იყენებენ მათ ყოველდღიურობაში.

მოგეხსნებათ, რომ მათი თარგმნა და გაგება არც ისე მარტივია თუ სამიზნე ერის კულტურას არ ვიცნობთ, ამიტომაც ამ ტიპის კვლევა გვეხმარება არამონათესავე ენების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედარების გზით, ვაჩვენოთ ორი განსხვავებული ერის წარმომადგენელთა სამყაროსეული აღქმისა და გაგების ექსპრესიულობა და ემოციები. ფიტონიმური იდიომები კი - დიდ ექსპრესიულ და ემოციურ მუხტს ატარებენ. ემოციურად შეფერილი ფრაზეოფიტონიმები და მათი ექსპრესიულობა მეტად საინტერესოა სხვადასხვა კუთხით შესასწავლად. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანია ქართული და ფრანგული ფიტონიმური იდიომების ექსპრესიული და ემოციური ნიშნით დახასიათება და შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად მათი დაჯგუფება ლექსიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: იდიომი, ფიტონიმი, კულტურა, ექსპრესიულობა, ემოცია, ცნება, ფრაზეოლოგიზმები, ფრაზეოფიტონიმები.

შესავალი. ამა თუ იმ ერის კულტურაში, იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების ფონდის არსებობა, ამ ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, დიდი გამოცდილებისა და ენობრივი სიმდიდრის მანიშნებელია: „ფრაზეოლოგიზმები, ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, არამარტო ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და ექსპრესიულობის მისაღწევი საშუალებაა, არამედ ამაღლებს მეტყველების კულტურასაც“ (ცეცხლამე, 2018: 5).

გლობალიზაციისა და ანთროპოცენტრიზმის ეპოქაში წინა პლანზე წამოიწია კულტურათაშორისი ურთიერთობის საკითხი და ადამიანი, მის ირგვლივ არსებული საგნობრივი თუ ვირტუალური სამყარო და მისი დამოკიდებულება ამ სამყაროს მიმართ. შედეგად, ამ ურთიერთობების შესწავლას განსაკუთრებული როლი მიენიჭა, ხოლო კულტურის ერთგვარ კოდად - ენა მოგვევლინა.

სხვადასხვა ოჯახის ენების მატარებელთა შორის კომუნიკაციის სწორად წარმართვისათვის, გასათვლისწინებელია კულტურულ უხერხულობათა თავიდან აცილების მომენტი, რაშიც სწორედ იმ განმასხვავებელი რეალიების ცოდნა გვეხმარება, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი და თავმოყრილია კულტურაში, ისინი კი - სწორედ ენის საშუალებით გადაეცემა თაობებს. „ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა უაღრესად ძნელია, ვინაიდან ისინი უშუალოდ უკავშირდება მისი შემქმნელი ხალხის ყოფას, კულტურას, იდენტობას“ (ცეცხლამე, 2018: 5). ზემოთქმულის ბრწყინვალე მაგალითია ფრანგული და ქართული ენების ფიტონიმურ იდიომთა ზღვა მასალა, რომლებიც მკვლევართათვის ფასდაუდებელი განძია. კვლევის შედეგად, აღმოჩნდა რომ ფრაზეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ლინგვისტთა და არა მხოლოდ ლინგვისტთა, ყურადღება მიიქცია ახალმა, საკმაოდ საინტერესო მიმართულებამ- ფიტონიმებმა (*ფიტონიმი* - ბერძ. *φῶν* „მცენარე“, *ῥῆμα* „სახელი“).

მცენარეთა სამყაროსთან ადამიანთა მჭიდრო კავშირმა საკმაოდ ღრმა კვალი დატოვა ენაში. მცენარეთა სახელებით შედგენილი იდიომები ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის, კულტურულ-ეთნიკური თავისებურებების, რიტუალების, ტრადიციების და მხოლოდ

მისთვის დამახასიათებელი კონცეპტუალური აღქმის ამსახველია, რაც ნათლად ჩნდება არამონათესავე ენების ფიტონიმური იდიომების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად. „... ფრაზეოლოგიზმები და იდიომები წარმოადგენენ სამყაროს ვერბალური გააზრებისა და ლინგვოკრეაციული აზროვნების ერთ-ერთ გამორჩეულ საშუალებას“ (ცეცხლაძე, 2018: 209).

კულტურა ამა თუ იმ ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, სიბრძნის, ცოდნის, ქცევის, ცხოვრებისეული მაგალითების, ყოველდღიურობის, სულიერი ცხოვრების, ისტორიის, გარემო პირობების ერთობლიობაა, რომლის აკუმულაციაც ენაში ხდება. თაობებზე გადაცემული უნიკალური და უძველესი ინფორმაცია კი ენაში გროვდება. ამ დროს ენა, თითქოს ამოუწურავი მესხიერების მქონე „კაფსულაა“, რომელიც ადამიანებს ასაზრდოებს ამგვარი ფასდაუდებელი ცოდნით.

მეთოდები. ნაშრომში გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: *შედარება-შეპირისპირებითი, კონტრასტული, აღწერითი, ანალიტიკური, ლინგვოკულტურული და ფსიქოლინგვისტური მეთოდები.*

ფრანგული და ქართული ენების ფიტონიმური იდიომების ლექსიკური და სემანტიკური თავისებურებების წარმოსაჩენად, ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა *აღწერითი და ანალიტიკური* მეთოდები.

შედარება-შეპირისპირებითი და *კონტრასტული* მეთოდები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მსგავსებები და განსხვავებები (მენტალური, კულტურული, ეთნიკური და სხვა) ორი უკიდურესად განსხვავებული ენის ფრაზეოლოგიკონიმებს შორის.

რაც შეეხება *ლინგვოკულტურულ* და *ფსიქოლინგვისტურ* მეთოდებს, მათ შესაძლებელი გახადეს იმის დანახვა, თუ რამდენად განსხვავდება ფრანგული და ქართული მსოფლმხედველობა ერთმანეთისგან, რამდენად განსხვავებულად ახდენენ სამყაროს კონცეპტუალიზებასა და ამის გამოხატვას ექსპრესიულობისა და ემოციურობის თვალსაზრისით.

შედეგები და მსჯელობა. ფიტონიმები, სემანტიკურად მრავალფეროვანი ლექსიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და მცენარეთა მახასიათებლების კრებულია. საგნისა თუ ადამიანის შეფასებისას გამოყენებულ მცენარეთა კომპონენტის შემცველ ხატოვან თქმებში, ნათლად ჩანს კონკრეტული ენის მატარებლის შინაგანი სულიერი სამყარო.

ამასთანავე მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იდიომების მოტივაციურ-ნომინაციური ველები, რომლებიც ექსპრესიულად ასახავენ შესასწავლი ენების უნივერსალურ ან ეროვნულ-კულტურულ თავისებურებებს: ფიტონიმების რელიგიურ-მითოლოგიურ წარმომავლობას, მსგავსებას სხეულის ნაწილებთან (ადამიანის, ცხოველის და ა.შ) ან საყოფაცხოვრებო ელემენტებთან (*КХОИЛ*, 2018: 80).

ენა სამყაროს აღქმის გარკვეულ საშუალებებს-სამყაროს ენობრივ სურათებს ასახავს. ფიტონიმებით შედგენილი ენობრივი სურათები კი-გარკვეული სიმბოლიკისა და ინფორმაციის წარმოჩენის ბრწყინვალე შესაძლებლობაა. კულტურა მთელი სიდიადითა და უნიკალურობით ფრაზეოლოგიზმებშია თავმოყრილი. სუბიექტის ან ობიექტის მიმართ გამოყენებული მყარი გამონათქვამები, კონკრეტული ეროვნული კულტურის იმპლიციტური აზრის მატარებელია. ისინი, ინდივიდის შინაგანი სამყაროდან გამომდინარე, რთული მენტალური პროცესის-აზროვნების შედეგია, რაც საბოლოოდ ენით ცხადდება, „ენა ადამიანს სპეციფიკურად „შეიცნობს“ (Болыф, 2002: 150). უნიკალურობაა სწორედ ის, რაც მას კულტურულ ელფერსა და ექსპრესიულობას სძენს. „ექსპრესიულობა კი-ხატოვნების აუცილებელი შედეგია“ (თაყაიშვილი, 1961: 34).

„მცენარეთა სახელდება ხდება მათი გარეგნული იერის, ხასიათის, სუნის, ფერის, აღმოცენების ადგილის, ყვავილობის დროის საფუძველზე. ზოგისა კი-იმ ცხოველების სახელთა მიხედვით, რომლებიც მათ ირგვლივ ცხოვრობენ ან მათით იკვებებიან. ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მცენარეთა სახელდების მეტაფორულ და მეტონიმურ ხერხებს, რომლებიც გამოხატავენ მოლაპარაკის სუბიექტურ კავშირს დასასახელებელ ობიექტებთან“ (Маркова 2008 ციტირებულია Кхонг, 2018: 14).

მცენარეთა სამყაროსთან ადამიანი საკმაოდ მჭიდრო კავშირში იყო და არის: მათ საკვებად, სამკურნალოდ, საყოფაცხოვრებო და ესთეტიკური დანიშნულებისამებრ იყენებს. ვერბალიზებულმა და მეტაფორულად გადააზრებულმა მცენარეთა სამყარომ თანამედროვეობასა და კულტურაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა: საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება ადამიანური ხასიათისა და მის ირგვლივ არსებული სამყაროს აღსაწერად, შესაბამისად ლექსიკონებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. „მცენარის სახელის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებას ადამიანისა და მასთან დაკავშირებულ საგანთა, მოვლენათა, ცნებათა ხატოვანი დახასიათების შექმნის მიზნით ფიტომორფიზმები ჰქვია“ (Сутормина, 2012: 311).

„ფიტომორფიზმი ასახავს სამყაროს აღქმის თავისებურებებს ეროვნული კულტურისა და ენობრივი პრიზმის ჭრილში. ეროვნული თავისებურება შესაძლებელია გამოვლინდეს ტიპურ ასოციაციებში, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სახესთან, ანუ ის შეიძლება გამოვლინდეს ხატოვანი ფორმით ეროვნულ სპეციფიკაში“ (Сетаров, 2005: 94).

როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს, იდიომების „... უშუალო დანიშნულებაა უკვე სახელდებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათება. [...] რა აძლევს გამოთქმას ექსპრესიულობას? - ის აუცილებელი ხატოვანება, რომელიც მას წითელი ზოლივით გასდევს. „ხატოვანება განაპირობებს გამოთქმის აზრობრივ სტრუქტურასაც, მის ფუნქციას მეტყველებაში და ექსპრესიულობას“ (თაყაიშვილი, 1961: 34).

სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ფიტონიმურ იდიომთა *სემანტიკური თვალსაზრისით დაყოფის შესაძლებლობა*: გაჩნდა - *შინაარსობრივად მსგავსი და განსხვავებული ფიტონიმებით შედგენილი ქართული და ფრანგული იდიომების ჯგუფები*; ხოლო *ფიტონიმური ლექსიკის გამოყენების თვალსაზრისით*, გაჩნდა - *ერთნაირი შინაარსის მქონე ფიტონიმური იდიომების ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი და განსხვავებული ფორმები* ორივე ენაში.

შინაარსობრივად მსგავსი ფიტონიმებით შედგენილი ქართული და ფრანგული იდიომები

ფიტონიმები, სემანტიკურად მრავალფეროვანი ლექსიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და მცენარეთა მახასიათებლების კრებულია. საგნისა თუ ადამიანის შეფასებისას გამოყენებულ მცენარეთა კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, ნათლად ჩანს კონკრეტული ენის მატარებლის შინაგანი, სულიერი სამყარო.

სწორედ სხვადასხვა ენის ფიტონიმური იდიომების შედარება-შეპირისპირებისას ყველაზე ნათლად ჩანს მათ შორის არსებული ეთნიკური, მენტალური და კულტურული განსხვავებანი. ანდაზების მსგავსად, ხატოვანი თქმებიც „[...] მათი სტრუქტურითა და სტილით, ენობრივი ფორმით წარმოდგენილი მორალური და უტილიტარული (გამოყენებითი) ნორმების გამომხატველი სიმბოლური ერთეულებია. იმავე კულტურის შიგნით, ან განსხვავებულ კულტურებში გადმოცემული ეს ნორმები, შესაძლებელია ემთხვეოდნენ ერთმანეთს ან განსხვავდებოდნენ ინდივიდის ნებისმიერი ქცევის შეფასებებით“ (Surguladze, 2013: 253).

ფიტონიმურ იდიომთა ექსპრესიული ნიშნით დახასიათებისას, თავი იჩინა მეტად საინტერესო ცნებებმა. ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება მიიპრო მ.ვ. პიმენოვასა და

ო.ნ.კონდრატევის მიერ შემოთავაზებულ კონცეპტთა კლასიფიკაციის მოდელმა, რომელიც მოიცავს: *შეფასებით, სოციალურ, ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ, ასევე განზომილებითი კონცეპტების ჯგუფებს* (Пименова, Кондратьева, 2011: 96-100). თუმცა, ემპირიული მასალის სიუხვე ცალკე გამოყოფისა და ახალი კონცეპტუალური ჯგუფების დამატების საშუალებასაც იძლევა: *დალოცვისა და წყევლის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფიზიკური მდგომარეობის, ფიზიოლოგიური საჭიროების, კულტურისა და ტრადიციის, სიკვდილის, პერცეპციულ (გრძნობათა ორგანოებით აღქმა) და საგნობრივ კონცეპტთა გამომხატველი ჯგუფები*. თუმცა ამჯერად, ჩვენი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, *მხოლოდ ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ ცნებათა ჯგუფსა და მასში შემავალ ქვეჯგუფებს* განვიხილავთ.

ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ ცნებათა ჯგუფი: ფიტონიმური იდიომების კვლევისას ორივე ენაში აღმოჩნდა *ადამიანის ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეების, სულიერი და ემოციური მდგომარეობის, გუნება-განწყობილების* გამომხატველი საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა.

ა) ემოციის გამომხატველი ცნებები:

ცნებები - *განრისხება, გაბრაზება, მოთმინებიდან გამოყვანა* - ფრანგი ხალხის წარმოდგენაში ხატოვნად ასოცირდება მდოგვთან, ხესთან, კომბოსტოსთან, ყვავილთან, ქოქოსის ხესთან, ხავსთან, თივასთან, მჟაუნასა და ბალახთან. *მდოგვი* ერთადერთი მცენარეა, „[...] რომლის ზემოქმედებაც ადამიანში ერთდროულად რამდენიმე გრძნობას იწვევს-„გემოს შეგრძნებასთან ერთად მოქმედებს ტვინზე, გულზე და აძლიერებს მეხსიერებას“-ამობდა ძველი ბერძენი მეცნიერი პითაგორა“ (იოსებძე, 2015: 114). ფრანგი ხალხის მიერ მხატვრულად გააზრებული და გადმოცემულია შედეგიც- *Faire monter la moutarde au nez à qn*-(პრდ. ვინმესთვის მდოგვის ცხვირში აყვანა) ყელში ამოუყვანა, მოთმინება დააკარგვინა, გააბრაზა (ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 357); *Avoir mangé de l'oseille*-(პრდ. მჟაუნა ნაჭამი) მდაბ. გაღიზიანებულია, გაბოროტებულია; *Piler des oignons*-(პრდ. ხახვების დანაყვა) არგ. გამოლანძვით, გაჯავრებით ვინმეს ცრემლებამდე მიყვანა. ქართულ ენაში იმავე კონცეპტებს ძირითადად ბალახები და მწარე გემოს მქონე ბოსტნეულები გადმოსცემენ, რომელთა მიღებაც რეალურად ადამიანს არაადეკვატურ არსებად აქცევს. ამასთან ზემო აჭარელთა რწმენით, მიწასა და ბალახებში მოთამაშე ბავშვს შეიძლება „უჟმური“ აჰყვეს, რასაც შეგროვილი სხვადასხვა ფოთლებისა და ბალახების ორთქლის ხრჩოლვით ან ნახარშიში დაბანით შველიან (ნოლაიდელი, 1935: 10). ვფიქრობთ, ბალახების უარყოფითი კონოტაციაც ლოგიკურია: *ლენცოფა* (ლათ. *Hyosciamus niger*) ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეა, რომელიც წამლად იხმარება. გიჟანა, იგივე ძალყურძენა (ლათ. *Belladonna*) ასევე შხამიანი მცენარეა, რომლის ზომიერად მიღება წამალია, ხოლო ზედმეტი-საწამლავი. ისიც თითქოს ადამიანს აგიჟებს. უცნაური ქცევის ადამიანს ასე მიმართავენ ხოლმე *ლენცოფა ხომ არ გიჭამია?*-ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? (სახოკია, 1950: 226), იმავე მნიშვნელობისაა-*გიჟანა ხომ არ გიჭამია!?*; *რა ეკალმა უჩხვლიტა!*-რამ გაამწარა, რამ ააღელვა, რამ შეაშფოთა, რამ გააწიწმატა?! (სახოკია, 1954: 106); *აპილპილება*-ერთბაშად, უცბად გამწარება, გაცხარება, გულის მოყვანა, გაბრაზება (სახოკია, 1979: 24).

თავის მობეზრება: Prendre racine en un lieu-საუბ. დამკვიდრება. ასევე ძალიან ხშირი და მომაბეზრებელი, ხანგრძლივი ვიზიტები, *თავის შეწყენა; Courir, taper sur le haricot*-(პრდ. ლობიოზე სირბილი, დარტყმა) *თავის შეწყენა*, თავის მობეზრება; *Lâcher la grappe à quelqu'un*-საუბ. მდაბ. ვულგ. თავი გამანებე, შემეშვი, *გული ნუ გამიწყალე!* ქართულში კი ამ კონცეპტის გამომხატველი ერთი ფიტონიმური იდიომი მოვიძიეთ - *მომწვანილება*-(პრდ. მწვანილის მობერება, მისი უფარგისობა სახმარად) მობეზრება, გულის აცრუება, დარდის გადავლა, დავიწყება მწუხარებისა (სახოკია, 1954: 37). როცა ადამიანს ვინმე ან

რაიმე მოსწონს, მაგრამ მწვანელივით მობეზრდება, მიატოვებს. სახოკიას მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როცა ქვრივი კაცი მეორედ დაქორწინდება, ასე იტყვიან იმასაც ანუ მეორე ცოლსაც მოიმწვანელებსო.

მიუხედავად უარყოფითი კონოტაციისა, ფრანგი საზოგადოების გაგებაში, ბევრ ფიტონიმს დადებითი მნიშვნელობაც შეუძენია. შესაბამისად, ლობიო, ზღმარტლი, ხე-ტყე, პრასი, ვაშლი, თაღგამი, მარცვალი, ქოქოსის პალმა, ჩალა, პალმის ფოთოლი, ცერცვი და ა.შ. *წარმატება-გამარჯვების* გამომხატველი კონცეპტებია: *Abattre bien du bois*-(პრდ. ხე-ტყის კარგად ჩეხა) საუბ. დიდი შრომის გაწევა, მოკლე დროში საქმეზე თავის გართმევა; *Avoir le poireau*-(პრდ. პრასის ქონა) სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებისათვის განმასხვავებელი ნიშნის მიღება; *Décrocher le cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმის ჩამოსხნა) საუბ. წარმატების მიღწევა; *Rempporter la palme*-(პრდ. გამარჯვებისთვის პალმის რტოს მოპოვება) პირველობის მოპოვება. ქართულ ენაში კი, შემდეგი სახის იდიომები გვაქვს: *ბაღბა არ მომიხარშო*-ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი მჭრელი იარაღით რომ ჩემთვის საჭირო იყოს ჭრილობაზე მოხარშული ბაღბის დადება, ისიც შენის ხელით! (სახოკია, 1950: 26-27); *ყურებზე ხახვი არ დამაჭრა*-ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე, ყმად ვერ გამიხდი (სახოკია, 1955: 43-44); *საპრასე არ მომიჯეკნო*-ვერას დამაკლებ, ბუხსაც ვერ ამიფრენ (სახოკია, 1954: 132); *ულუფაში ქატო არ ამიროს*-ვერაფერს დამაკლებს, ვერაფერს მიზამს მტერი, ყურზე ხახვს ვერ დამაჭრის (სახოკია, 1954: 179).

წარუმატებლობა, მარცხი ფრანგულში გადმოცემულია სხვადასხვა ბოსტნეულითა და ხილით, რომელსაც ადამიანი იყენებს: *Fendre du bois avec un rasoir*-(პრდ. სამართებით შემის პობა) უვარგისი, გამოუსადეგარი საშუალებების გამოყენება; *Tuer un âne à coups de figues (molles)* -(პრდ. მოკლა ვირი (რბილი) ლეღების დარტყმით) შეეჭიდო რაიმე ძალიან ხანგრძლივს ან შეუძლებელს; *Une guigne noire*-(პრდ. შავი ბალი) საშინელი მარცხი, უბედობა; *Jouer comme une patate*-(პრდ. კარტოფილივით თამაში) ცუდად თამაში. ქართულში კი - *ჩალას ეჭიდებოდა*-გაჭირვების ჟამს სუსტ იარაღს ეჭიდებოდა (ცეცხლაძე, 2018: 80); ხავსის ჭიდილი-უიმედო, სუსტი იარაღის დაჭერა გაჭირვებისათვის თავის დასაღწევად (სახოკია, 1955: 190); *ხავსს ეჭიდება*-ნაკლებად სანდო რამეზე იმედის დამყარება.

ტკივილის, დარდის, ტანჯვის გამომხატველია - ხავსი, ეკალი, მსხალი, ჟუნჭრუკი და სტაფილო: *Avaler des poires d'angoisse*-(პრდ. მახრჩობელა მსხლის გადაყლაპვა) მძიმე, მტანჯველ სიტუაციაში ყოფნა; *Se faire de la mousse*-(პრდ. ხავსის მოდება) საუბ. მდაბ. თავის შეწუხება, ტყუილად ღელვა რაღაცაზე; *Regretter les oignons d' Egypte*-(პრდ. ეგვიპტის ხახვებზე სინანული) დაკარგულ მდგომარეობაზე, ყოფაზე ტირილი, გოდება. ქართულში ეს კონცეპტები ძირითადად მცენარე-ეკლით გადმოიცემა, თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თურმე ეკალს, ძველი აჭარული ცრურწმენის მიხედვით, დადებითი მხარეც ჰქონია „ავი თვალის საწინააღმდეგოდ მელოგინის ტახტზე დარკალულ ეკალს ჩამოვიდებენ, ზოგან კი ასკილის ტოტს“ (ნოლაიდელი, 1935: 7). თუმცა, ქართულ კულტურაში ამ ფიტონიმით შედგენილი მხოლოდ უარყოფითი კონოტაციის მატარებელი იდიომები არსებობს: *ეკლად დასმა*-(პრდ. ეკლის მსგავსად ჩხვლეტა) სიმწარის, ტკივილის განცდა, მწუხარება, დარდ-ნაღველი, უზომო წყენა, *ეკალზე ვზივარ (ეკალზე ვიჯექი)*-მეტად აღელვებული ვარ, ვწუხვარ უსიამოვნების მოლოდინში (სახოკია, 1950: 110); *გულში ეკლად ესობა, ეცემა*-ემწარება, აღელვებს, აწყენინებს, ცუდ გუნებაზე აყენებს, მწვავე შთაბეჭდილებას ტოვებს (სახოკია, 1950: 79); *ცეცხლის პურის ჭამა*-ტანჯვა, გამწარებული ცხოვრება (სახოკია, 1979: 804).

ტკბობა: *Une bonne petite vie aux pommes*-(პრდ. ერთი კარგი პატარა სიცოცხლე ვაშლებში) შესანიშნავი, მშვენიერი არსებობა; *Être couché sur des roses*-(პრდ. ვარდებზე წოლა) სიცოცხლით ტკბობა (Rey, Chantreau, 2015: 810); *S'endormir sur ses lauriers*-(პრდ. მის

დაფნებზე დაძინება) პირველი წარმატებით დაკმაყოფილება; Bath aux pommes-(პრდ. ჩინებული ვაშლებით) საუბ. შესანიშნავია, თითებს ჩაიკვნეტ (ქადეიშვილი, წულაძე-კალატოზიშვილი, ახვლედიანი, ბიბილიეშვილი, 2000: 133); ქართულში კი - *გულზე ვარდის გადაფენა*-(პრდ. ვარდით დაფარვა გულისა) უსაზღვროდ გახარება, ნეტარება, დაუსრულებელი სიხარული, სიამოვნება (სახოკია, 1950: 69); *პიტნაგება*-(პრდ. პიტნად მიჩნევა) მოწონება, სიამოვნება, რადმე ჩაგდება (სახოკია, 1954: 100). პიტნა სურნელოვანი ბალახია. საოცარი სუნისა და გემოს გამო ქართველთა სუფრაზე მას მწვანილთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, კულინარიაშიც ფართოდ გამოიყენება; *ვარდის მკრეფობა*-მხიარულება, მოღხენა, უდარდელობა, შვება (სახოკია, 1979: 197).

დიდი ხნის შემდეგ *ადამიანის გამოჩენას*, ფრანგი ეროვნების ადამიანი იდიომატურად შემდეგნაირად გამოხატავს (ცნება - გამოჩენა ფრანგულში ტყესთან, ხილთანაა კავშირში): *Sortir du bois*-(პრდ. ტყიდან გამოსვლა) ჩრდილიდან გამოსვლა; *C'est du fruit nouveau de vous voir*-(პრდ. თქვენი ნახვა ახალი ხილია) საუბ. ამბობენ დიდი ხნის უნახავ ადამიანზე. ხოლო ქართულ ენაში ეს ფენომენი ასე გამოიხატება-*ჩხირი კედელს!*-ძლივს, დაიხსომეთ ეს ამბავი, აღნიშნეთ, არ დაგავიწყდეთ! რისამე დასახსომებლად, მაგალითად: ვინმე დიდი ხნის მიუსვლელი რომ მოვიდოდა სახლში, მაშინ ასეთი ფაქტის აღსანიშნავად წამოიძახებდნენ: ჩხირი კედელსო და კედელში ჩხირს შეარჭობდნენ (სახოკია, 1955: 100). იმავე სემანტიკის მატარებელია-*ნახშირი კედელს*.

შედეგი: Giroflée à cinq feuilles-(პრდ. ხუთფოთლიანი ლევკოიონი) საუბ. ლოყაზე დარჩენილი ალიყურის კვალი; *En herbe et en gerbe*-(პრდ. ჯეჯილად და ძნად) ოცნებაში და რეალურად; სასურველი და რეალური; *Rouge comme une pivoine*-(პრდ. იორდასალამივით წითელი) ყაყაოსავით წითელი. ქართულში კი - *თავზე ბალბა დავადე*-გაბრაზებული დავამშვიდე, დავაწყნარე, მოვარბილე (სახოკია, 1950: 140); *თავის ქერქში ჩავარდება* (*თავის ქერქში ვერ ჩავარდება*)-დამშვიდდება, (ვერ) დაწყნარდება. ბრაზისა ან სირცხვილისგან, გაწითლებული ადამიანის სახეს, ქართველები ჭარხლის ფერს ადარებენ და ხატოვნად *წამოჭარხლებას*, *ჭარხალივით წითელს*, ან ამ ბოლო პერიოდში დამკვიდრებულ კალკირებულ ფრაზას *პომიდორივით წითელსაც* ამბობენ. *წამოჭარხლება*-ბრაზისა ან სირცხვილისგან წამოწითლება სახისა (სახოკია, 1955: 150); *ეკალს აუშვებს*-რაიმე ზნეობრივი ან ფიზიკური უსიამოვნო განცდის გამო სახეს აილეწავს.

უშედეგო, ფუჭი: Sans fruit-(პრდ. ხილის გარეშე) ამაოდ, უნაყოფოდ, უშედეგოდ; *Ne pas se manger en salade*-(პრდ. სალათადაც არ გამოდგომა) მატერიალური სარგებლის ვერ მომტანი, ვერ შემცვლელი; *Pour des haricots*-(პრდ. ლობიოებისთვის) არაფრისთვის, ხელცარიელი; *Compter pour des prunes*-(პრდ. ქლიავებად მიჩნევა) რაღაცის კაპიკებად ან მუქთად, ამაოდ გაკეთება. ქართულში კი - *კედელს ცერცვი შეაყარე* -ამაოდ ჩაივლის, უშედეგოდ დარჩება; *უნაყოფო ოცნება* (ფუჭი, ცრუ ოცნება)-რეალურ საფუძველს მოკლებული, განუხორციელებელი ოცნება; *შიშველი ხელებით ნარის გლეჯა*-უნაყოფოდ დიდი შრომის გაწევა, ძნელი საქმის კეთება; *ხავსმოკიდებული* - ძალზე დაძველებული, უხმარი, უსარგებლო, ზედმეტი, გამოფიტული (სახოკია, 1955: 190).

ბ) მენტალური ცნებები:

ფრანგულ სივრცეში ფიტონიმები საკმაოდ აქტუალურია *კონცეპტების-უჭკულო, სულელი, დოყლაპია, ბრიყვი, უცნაურის* გამოსახატად. მაგალითად: *(Être) creux comme un radis*-(პრდ. (იყო) ბოლოკივით ფუყე) უმეცარი, გაუნათლებელი, უბირი; *Tête de chou*-(პრდ. კომბოსტოს თავი) საუბ. ბრიყვი, სულელი; *Tête d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის თავი) საუბ. სულელი, ჩერჩეტი; *Être une courge*-(პრდ. იყო გოგრა) სულელი, ბრიყვი; *Il est passé par un champ de fèves en fleur*-(პრდ. აყვავილებული ცერცვის მინდორში გაიარა) გიჟია, შეშლილია, ჩერჩეტია. ქართულ ენაში შემდეგი ტიპის მაგალითები მოგვეპოვება: *აი, ინა დავადე იმათ ჭკუას!*-მათთვის ჭკუისა და მიხვედრილობის უნარი წამირთმევია, უჭკუოდ დამიტოვებია (სახოკია, 1950: 8); *ბალზე ზის და ტყემალს ჭამს* - ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა,

ჰგონია ყველაფერი კარგადაა (ცეცხლაძე, 2018: 73); ლაზურშია გავრცელებული სინონიმური ფრაზეოლოგიზმი *წყავზე ზის*-არაფერი გაეგება, არაფერი იცის (რისამე შესახებ) (ცეცხლაძე, 2018: 73); *თავში ბზე უყრია*-(პრდ. თავში ბზე აქვს ჩაყრილი (ტვინის მაგივრად) ტვინი არა აქვს, უჭკუოა, სულელია, ბრიყვია, მიუხვედრელია (სახოკია, 1950: 156); *კლიავი (შე, კლიავო)*-ჟარგ. შტერი (შდრ. გამოქლიავდა და დაქლიავდა), დამამცირებელი შინაარსისაა (ბრეგაძე, 2013: 138).

ჭკვიანი, გონიერი: Grain de sel-(პრდ. მარილის მარცვალი) მარილი (ანეკდოტის, სასაცილო ამბის), მახვილგონიერება, გონებამხვილობა; *En avoir dans le citron*-(პრდ. ლიმონში ქონა) საუბ. განათლებული, ნასწავლი, ჭკვიანი; კონცეპტი გონიერი არსება: *Roseau pensant*-(პრდ. ხტვ.) „მოაზროვნე ლერწამი“, ადამიანი („ლერწმის სახეობათა შორის ადამიანი ყველაზე სუსტი, სამაგიეროდ, „მოაზროვნე ლერწამია“- პასკალი) (ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 463), ასევე ადამიანი, რომელიც გამოირჩევა სამყაროში თავისი სისუსტითა და ფიქრიანი ხასიათით. ფრაზეოლოგიის წარმოშობას ხშირად, შეცდომით უკავშირებენ პასკალის ამ ცნობილ ფორმულას; *Ce n'est pas aussi sûr que de l'oseille*-(პრდ. მჟაუნასავით საიმედო არაა) ეს მცდარია. ქართულად კი - *გოგრიანი-ჭკვიანი*;

კრურწმენა: Toucher le bois-თვალი არ ეცეს! ხეზე დაკაკუნება, ხეზე ხელის წავლება ბოროტების განსადევნად; *Être tenu par la guigne*-(პრდ. დაკავებული ბლის მიერ) უიღბლოა, ბედუკულმართია, მარცხიანია, ქვა აღმართში ეწევა; *Flanquer la cerise*-(პრდ. ალუბლის ტყორცნა) საუბ. უბედურების მოტანა. ქართულში კი - *პური დაჯდა* - (პრდ. პურის ნატეხმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო) სტუმარი მოვა (სახოკია, 1954: 101); *ტყის დედოფალი*-ავი, ზღაპრული არსება, ულამაზესი ქალის სახით - *ალი*.

გ) *ხასიათის გამომხატველი ცნებები:*

ტრაბახი, თავის მოწონება, თავის გამოჩენა: Faire bien valoir ses choux-(პრდ. საკუთარი კომბოსტოების კარგად გამოყენება) საუბ. თავის გამოჩენა, თავის წარმოჩენა (დადებითი კონოტაციით); *Nous ne nous chauffons pas du même bois*-(პრდ. ერთი და იგივე შეშით არ ვთბებით) ჩვენს შორის საერთო არაფერია; *Je te mangerais avec un grain de sel*-(პრდ. ერთი მარილის მარცვალთან ერთად შეგჭამდი) ხალხ. მე უფრო ძლიერი ვარ, გაჯობებ, მოგიგებ ბრძოლაში. ქართულში კი - *თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია*-მედიდურობას გადმოგვცემს (ცეცხლაძე, 2018: 78); *მწვანე კიტრივით თავი მოაქვს*-უსაფუძვლო ტრაბახი, ბაქი-ბუქი, თავის განდიდება, ცუდმედიდობა (სახოკია, 1954: 52-53). ქართველები ასე იმათზე ამბობენ, ვისაც საქებარი არაფერი აქვს, თუმცა უტუხად განაგრძობს ტრაბახს: *რა თავი მოგაქვს ნიახურის ფოჩივითა?!*-თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ! (სახოკია, 1954: 106). ნიახურის ფართო ფოთოლი სხვა მწვანეფოთოლი ფოთლებზე გაცილებით ლამაზია, თუმცა მაინც მწვანელია და სილამაზით სხვა მცენარეებს ვერც კი შეედრება. ამის ანალოგიით ხატოვნად ასეთივე ადამიანებზეც ვამბობთ; *წამობრინჯული*-ჟარგ. გაბღენძით მჯდარი (ბრინჯი ხარშვისას მოცულობაში მატულობს, იბერება). შდრ. განმარტებით ლექსიკონში „გაიბრინჯება“-ჭამით გაიბერება (ბრეგაძე, 2013: 164).

მოუხერხებელი, ტლანქი, დამყოლი: Catholique à gros grains-(პრდ. მსხვილმარცვლოვანი კათოლიკე) საუბ. მკაცრი წესების ნაკლებად დამცველი ადამიანი; *Gracieux comme un fagot d'épines*-(პრდ. ეკლების კონასავით მოწყალე) დათვივით მოუხეშავი, ტლანქი; *Poivre et sel*-(პრდ. წიწაკა და მარილი) 1. შეჭადარავებული; 2. არც ისეთი, არც ასეთი. ქართულ ენაშიც ეს კონცეპტები საკმაოდ აქტუალურია: *ლობიო*-(პრდ. ცერცვოვანი ოჯახის მცენარე, რომელსაც მრავალი სახე აქვს, როგორც საჭმელი, ისე დეკორაციული) ყველაფერში უშნო ადამიანი, უგერგილო, ყოველსავე უნარს მოკლებული, თავის ინიციატივით არაფრის გამკეთებელი (სახოკია, 1950: 228); *ლეღვია*-ზღაზნია, უწადინო, უშნო, დონდლო, უენერგიო, გაუბედავი. *მოლეღვილი კაცი*-ლეღვს დამსგავსებული, ანუ მოდუნებული (სახოკია, 1950: 227).

უმწიკვლო, უზადო: C'est un panier de cerises-(პრდ. ეს ალუბლების კალათა) საუბ. ნაკლს ვერ უპოვი, წუნს ვერ დასდებ; *ბროლა კაკალია*-სუფთა, უმწიკვლო, უდანაშაულო, უზადო, ისეთი, ვისაც ხელიდან ხელში ატარებენ, ყველა ეფერება, ვისი ნახვაც ყველას ესამოვნება (სახოკია, 1950: 36).

ჯიუტი, ურჩი: Se mettre dans le citron-(პრდ. ლიმონში ჩადება) დაჩემება, აკვიატება; *N'écluser que du lait de coco*-(პრდ. მხოლოს ქოქოსის რძის დაღვევა) არგ. თავშეუკავებელია; *Tête de bois*-(პრდ. ხის თავი) ჯიუტი ადამიანი; ქართულშიც ამ კოცეპტებს შემდეგი იდიომები გადმოსცემენ: *გახეება*-(პრდ. ხედ ქცევა, ხეს დამსგავსება) გაკერპება, გაუჯიათება, გაჯიუტება, გაჯიქება, გამოსულელება (სახოკია, 1950: 56); *კეტი კაცია*-ურჩი, მოუდრეკელი, გახევებული, ტლანქი, მოუხეშავი, ყინჩი (სახოკია, 1979: 328).

გულკეთილი, გულუბრყვილო: Bonne pomme-(პრდ. კარგი ვაშლი) საუბ. კეთილი, გულუბრყვილო, გულკეთილი, შემწყნარებელი; *Une vraie pomme!*-(პრდ. ნამდვილი ვაშლი!) არგ. მიაშიტი (Caradec, 2005: 169); ქართულში კი, ბალახის სახელწოდება გადმოსცემს ამ კონცეპტს: *თევდორეს ბალახის სცხია*-მეტად ტკბილი სიტყვა-პასუხის კაცია, გულკეთილი, მოალერსე, ყველას საყვარელი, სათნო, ყველას გულშემატკივარი. თევდორეს ბალახი მთის მცენარეა (სახოკია, 1950: 160).

არაფრად ჩადება: S'en soucier comme un chien d'une botte de roses-(პრდ. ვარდების კონაზე ძაღლივით ზრუნვა) არაფერი ენაღვლება; *Foin de ménagements*-(პრდ. სიფრთხილის თივა) ჯანდაბას ცერემონიები. ქართველებისთვის *ტყემალი* ხილთა შორის ღირსებით ყველაზე მდარეა, ამიტომაც ადამიანის მასთან შედარება თავისთავად მისი არ დაფასების სინონიმი. თუმცა ზემო აჭარელთა ხვნა-თესვის კულტურაში, ტყემლის (ასევე წითელი ვაშლის) ხისაგან დამზადებულ ტაბიკს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია. კერძოდ, მხოლოდ მას შეძლება მათი პირუტყვების დაცვა ავი თვალისაგან, ე.ი. უბედურებისაგან. ამ ცრურწმენის დამადასტურებელი თქმულებაც არსებობდა (ნოღაიდელი, 1935: 48): *ტყემლად არ შეგეპუები*-ზედაც არ შევხედავ, სრულებით არ მოვერიდები, თავაზას არ შევუნახავ, ადამიანად არ ვაგდებ (სახოკია, 1954: 167-168); თუ მას ჭიაც გაუჩნდა, მთლად გაუფასურდება ადამიანთა თვალში: *ჭიან ტყემლადაც არ გაგდებ*-სრულებით არაფრად მიმაჩნისარ, ჩემს თვალში არაფრის ფასი გაქვს (სახოკია, 1955: 180); ფიტონიმი ჩალა-მარცვლოვანი მცენარის ღეროა, რომელიც ძალიან ცოტას ფასობს, იაფია: *ჩალად უჩანს* (*ჩალად არ უჩანს*)-არაფრად მიაჩნია, არაფრად აგდებს; *ჩალაში მკერავს*-არაფრად აგდებს, უბრალო ვინმედ მთვლის, ყოველსავე ღირსებას მართმევს (სახოკია, 1955: 81); *ქინძზე მკიდია*-ჟარგ. არ მაინტერესებს, არ ვნაღვლობ, ჩემთვის სულერთია. იგივეა რაც ფეხებზე მკიდია (ბრეგაძე, 2013: 138).

ორჭოფობა, ეჭვიანობა: Manger de l'avoine-(პრდ. შვრიის ჭამა) კანად. მეტოქეზე ეჭვიანობა; *Sentir le fagot*-(პრდ. ფიჩხის კონის გრძნობა) 1. მკრეხელობა; 2. ეჭვი უჩნდება, ეჭვის ჭია ღრღნის; *Une poire molle*-(პრდ. რბილი მსხალი) საუბ. უნებისყოფო ადამიანი. ხოლო ქართველები ამ ფენომენს ასე გამოხატავენ: *რა ასკილივით თავს იქნევ*-ტყუილსა თუ მართალზე თანხმობას აცხადებ, *ორჭოფობ* (სახოკია, 1954: 104). ასკილის ბუჩქი ერთთავად ირყევა მცირე ნიაზეც კი; *ნასახლარის რყევა ნარივით*-მერყეობა, სიმტკიცის უქონლობა, ორგულობა (სახოკია, 1954: 63); ვერხვიფოთელა-ცვალებადი შეხედულების, არამყარი ხასიათის ადამიანზე იტყვიან სამხრულ მეტყველებაში (ცეცხლაძე, 2018: 78).

უგრძნობლობა, გულქვაობა: Rester comme une bûche-(პრდ. ნაპობივით დარჩენა) ინერტული, უგრძნობი, გაშეშებული. ქართველები ამ მხრივ უფრო მყარ ხასიათს იჩენენ: *გულის გახეება*-გულქვა, შეუბრალებელი გახდომა; *პურის წილ ქვის მიცემა*-ბოროტება, გულქვაობა, შეუბრალებლობა, უღმობლობა (სახოკია, 1954: 102); *გაფიჩხება*-(პრდ. ფიჩხს დამსგავსება, ხის გამხმარ შტოებად ქცევა) სიცივისაგან უგრძნობლად გახდომა, სხეულის ნაწილების გამაგრება ხესავით (სახოკია, 1950: 52).

დამუნჯება, დუმილი: *Manger des pois chauds*-სირცხვილისგან დამუნჯდა, ენა გადაყლაპა, ენა მუცელში ჩაუვარდა; *Entendre pousser l'herbe (ან l'herbe pousser)*- ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდი. ხოლო ქართულში - ხავსის მოკიდება პირზე-სიჩუმე, დუმილი დიდი ხნის განმავლობაში (სახოკია, 1955: 190).

მსგავსი, შესაფერისი: *Il est du bois dont on les fait*-(პრდ. იმ ხისაა, რომლისგანაც აკეთებენ) ერთნაირი ბუნების, მსგავსი ტიპის, ერთი ცომისგან მოზეილილი; *A fleur de femme, fleur de vin*-(პრდ. ქალის ყვავილს, ღვინის ყვავილი) შესაფერისი ქორწილი, ანუ ერთმანეთისთვის შესაფერისი ახალგაზრდა კაცი და ქალი, ალხანას ჩალხანაც უნდაო; ფერი ფერსაო, მაღლი ღმერთსაო; ფერი ფერს შეხვდაო, მაღლი ღმერთსაო; წყალი, წყლისკენ მიდის; როგორც გამთხოვი, ისეთი მომყვანიო. ხოლო ქართულში: *ერთი ხის ანაჭერნი*-ერთნაირები; *გაჭრილი ვაშლივით ჰგავს-ძალიან ჰგავს; ვაშლი რომ გასჭრა (ისე ჰგავს მავანი მავანს)*-საოცარი მსგავსება (სახოკია, 1979: 198).

შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები ორივე ენაში

ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ ცნებათა ჯგუფი მხოლოდ ქართულ ენაში:

ა) ემოციის გამომხატველი ცნებები:

შეშინება: ტანზე ეკლის ასხმა-შეშინება, საზარელობა, გულის გახეთქვა (სახოკია, 1954: 162); *ეკლად დაესვა*-შეშინდა, შერცხვა (ცეცხლაძე, 2018: 80); *აჭინჭვრა ტანისა*-გამწარება, შეშინება, შეკრთომა (სახოკია, 1979: 37).

ბ) მენტალური ცნებები:

სიბრძნე, გამოცდილება: გაუჭრელი ნესვია-(პრდ. ნესვი გაჭრილი არ არის, ე.ი. არ ჩანს, მწიფა თუ არა) ვისამე ან რისამე თვისების შინაარსის შეტყობა გარეგნულად, შორიდან შეუძლებელია, გამოსაცნობად უცხოთან მიახლოებაა საჭირო (სახოკია, 1950: 52); *დამპალი კომშია*-გარეგნულად ვითომ ცუდი, შიგნით კი-კარგი. ახალ მოკრეფილ პანტას ბზეში შეჭყრიან ხოლმე, შიგნიდან მოშავო ფერს გადაიკრავს, თითქო დამპალაო და საჭმელად კარგი ხდება. ასეთივე ამბავი ემართება კომშს. შესახედავად თითქოს დამპალია, უვარგისს ჰგავს, შიგნიდან კი ყავისფერი ხდება და საჭმელადაც კარგია. ხატოვნად იტყვიან ყმაწვილზე, რომელიც ცუდი ჰგონიათ, მისი სიკეთის იმედი არა აქვთ. ის კი არა, ბოლოს, კარგი გამოდგება და იტყვიან კიდევ: სწორედ რომ დამპალი კომშიაო! (სახოკია, 1950: 86).

დავიწყება: პურის სახელის დავიწყება-გამეძევება, მოუცლელიობა, მეტისმეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა (სახოკია, 1954: 102).

ნათლად გამოიკვეთა მცენარეთა სახელების შემცველი ისეთი ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მხოლოდ *ფრანგული ენისთვისაა დამახასიათებელი*:

აქაც გამოიკვეთა ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი განსხვავებული ცნებებით:

ა) ემოციის გამომხატველი ცნებები:

სიყვარულის, პატივისცემის დამსახურება: Chanter la pomme-(პრდ. ვაშლის მღერა) კანად. ქალის გულის მოგება, გულის მონადირება; *Dites-le avec des fleurs*-(პრდ. თქვით ყვავილებით) გამოხატეთ თქვენი სურვილები, მაღლობა გადაიხადეთ ყვავილების მირთმევით (Rey, Chantreau, 2015: 423). ეს კალკირებული ფრაზა ფრანგულში შემოსულია ინგლისურიდან.

მიმართვა, მოფერებითი სახელები: Ma vieille branche!-(პრდ. ჩემო ძველო ტოტო!) საუბ. ძველო მეგობარო!; *Bout de chou*-(პრდ. კომბოსტოს ძირი) პატარა ბავშვი (Rey, Chantreau, 2015: 194) (ძველი ამბის მოგონებისას იტყვიან ხოლმე ბავშვი იყო); *Mon petit coco*-(პრდ. ჩემო პატარა ქოქოსო!) საუბ. ჩემო პაწიავ!; *Vieux melon*-(პრდ. ძველი ნესვი) ბებერი, მოხუცი.

ქება (კომპლიმენტი): Couvrir qn des fleurs-(პრდ. ყვავილებით დაფარვა) ქება (ვინმესი); *Jeter des fleurs à quelqu'un-*(პრდ. ვინმეზე ყვავილების სროლა) კომპლიმენტებით ავსება; *Chanter fleurette-*(პრდ. პატარა ყვავილების მღერა) ქათინაურებით შემკობა.

საფრთხე: Serpent caché sous des fleurs-(პრდ. ყვავილების ქვეშ დამალული გველი) მოძვ. ფარული საფრთხე; *Passer à l'orange bien mûre-*(პრდ. კარგად დამწიფებულ ფორთოხალზე გავლა) შუქნიშნის ყვითელ შუქზე გავლა წითელზე გადასვლის მომენტში, რაც აკრძალულია.

მგრძნობიარე: N'être pas de bois-(პრდ. არ იყო ხისგან) მგრძნობიარე ადამიანი (Rey, Chantreau, 2015: 88).

არასასიამოვნო: Bouffer des pois cassés-(პრდ. გატეხილი ბარდების ჭამა) არგ. პირი უყარს, პირიდან ცუდი სუნი ამოსდის; *Avoir ses épines-*(პრდ. საკუთარი ეკლების ქონა) საუბ. უსიამოვნო მხარე აქვს; *C'est un plat d'épinard-*(პრდ. ისპანახის კერძია) არგ. ცუდად დახატული პეიზაჟი, რომელზეც მწვანე ფერი ჭარბობს; *Être tout en un fagot-*(პრდ. ყველაფერი ერთი ფიჩხის კონაში) საუბ. შევიწროებულია, შეზღუდულია (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 217), იგულისხმება მცირე ადგილის დაკავებით გამოწვეული დისკომფორტი.

საეჭვო, არასანდო: Pousser comme de la mauvaise herbe-(პრდ. სარეველა ბალახივით გაზრდა) ძალიან სწრაფი განვითარება, თუმცა საეჭვო; *Comme si je lui avais vendu des petits pois qui ne veulent pas cuire-*(პრდ. თითქოს მივეყიდე ბარდა, რომელსაც მოხარშვა არ სურს) საუბ. არამეგობრული, საეჭვო (მზერა); *Explication à la noix-*(პრდ. კაკალივით ახსნა) ნაკლებად სანდო, საიმედო განმარტება; *Venir au monde sous un chou-*(პრდ. მოველინო ქვეყანას კომბოსტოს ქვეშ) შავბნელი წარმომავლობა.

ბ) მენტალური ცნებები:

იდენტიფიკაცია: Ma (ta, sa...) pomme-(პრდ. ჩემი (შენი, მისი...) ვაშლი) არგო. საუბ. მე (შენ, ის) (Rey, Chantreau, 2015: 749-750); *Ma (ta, sa) poire-*(პრდ. ჩემი (შენი, მისი) მსხალი) მდაბ. მე თვითონ, მე უფრო (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 428).

ორიენტაცია: Sentir l'ail, taper l'ail, manger de l'ail-(პრდ. ნივრის ჭამა, დარტყმა, სუნის გრძნობა) არგ. ლესბოსელი, ან ლესბოსელად თავის მოჩვენება (Caradec, 2005: 4).

გ) ხასიათის გამომხატველი ცნებები:

მფლანგველი, უყაირათო: Jeter ses choux gras-(პრდ. ცხიმიანი კომბოსტოს გადაყრა) ჯერ კიდევ საჭირო ნივთების გადაყრა, არაეკონომიურობა, ხარჯვა, ფლანგვა, არ დაზოგვა; *Avaleur des pois gris-*(პრდ. ნაცრისფერი ბარდების მელაპავი) 1. უძლები; 2. მფლანგველი.

*შემართება, მონდომება: Aux petits oignons-*ირონ. 1. უხეშად, მკვეთრად; 2. გულმოდგინედ, მონდომებით; 3. გაჩარხულია, კარგად მიდის (საქმე) (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 379); *C'est gigot pomme à l'huile-*(პრდ. ეს ცხვრის უკანა ბარკალი ვაშლი ზეთში) არგ. ყველაფერი კარგად მიდის; *La fleur au fusil-*(პრდ. ყვავილი თოფზე) ენთუზიამით, სიხარულით, შემართებით (Rey, Chantreau, 2015: 423).

უგუნურება: Aller à travers choux-(პრდ. კომბოსტოების გავლით სვლა) საუბ. განუსჯელად, თავქარიანად მოქცევა; *Se casser le chou-*(პრდ. კომბოსტოს გატეხვა) ზიანის მიყენება საკუთარი თავისთვის, ასევე მღელვარება, წუხილი; *Semer la folle avoine-*(პრდ. გადარეული შვრიის დათესვა) ახალგაზრდობაში ჩადენილი უგუნურების განმეორება; *Manger son blé en herbe-*(პრდ. ჯეჯილობის ხანაში მყოფი ხორბლის ჭამა) სარგებლის ნახვამდე ქონების დახარჯვა (Rey, Chantreau, 2015: 83-84).

განზრახვა, მიზანი: Donner un pois pour une fève-(პრდ. ბარდის მიცემა ცერცვის ნაცვლად) გადატ. რაიმეს მიცემა მეტის მიღების მიზნით; *Sucrer la moutarde-*(პრდ. მდოგვის დაშაქრვა) გადატ. ნათქვამის შელამაზება, შერბილება; *S'accrocher à toutes les branches-*(პრდ. ყველა ტოტზე ჩაბლაუჭება) გასაჭირიდან თავის დასახსნელად ყველა საშუალების გამოყენება; *La course à l'échalote-*(პრდ. წვრილი ხახვით რბოლა) მოქმედება, რომელიც

შარვლის ყელსა და ბოლოზე ხელჩავლებული, ვინმეს სირბილს ან წასვლას აიძულებს; ამჟამად ითქმება შეჯიბრზე, მეტოქეობაზე (საარჩევნო, იერარარქიული და ა.შ.), ზოგჯერ ბავშვურზეც, სადაც მოსაგებად ყველა საშუალების გამოყენება გამართლებულია; *Faire flèche de tout bois, faire feu de tout bois*-(პრდ. ყველა ხისგან ისრის გაკეთება, ცეცხლის დანთება) მიზნის მისაღწევად ყველანაირი საშუალების გამოყენება (Rey, Chantreau, 2015: 87). *ეკლის თვალით შემოხედვა*-ცუდად, ბოროტის განზრახვით ყურება (ცეცხლამე, 2018: 80).

ერთგული: *Sûr comme la prunelle de l'oeil*-(პრდ. კვრინჩხივით, თვალის გუგასავით საიმედო) საიმედო, სანდო, ერთგული (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 442).

საზიზღარი: *Batôn merdeux*-(პრდ. სამაგელი ჯოხი) რაღაც ან ვიღაც განსაკუთრებით უსიამოვნო, საზიზღარი; *Avoir un esprit épineux*-(პრდ. ეკლიანი გონების ქონა) კირკიტა ადამიანი (ქადეიშვილი, წულაძე-კალატოზიშვილი, ახვლედიანი, ბიბლიეიშვილი, 1999: 107); *Un fagot d'épine*-(პრდ. ეკლის კონა) გადატ. ბრაზიანი, უფარგისი, უკარება; ანჩხლი, კაპასი; *Un vilain coco*-(პრდ. საზიზღარი ქოქოსი) ხალხ. სამაგელი ტიპი.

მსუნავი: *Trou aux pommes de terre (ან trou à soupe)*-(პრდ. ნახვრეტი კარტოფილებში (ან წვნიანში) ხალხ. პირი, მჭამელი; *C'est un coffre à avoine*-საუბ. ლანძღ. გაუმაძღარი, მსუნავი, ღორმუცელა (იტყვიან ცხენზე), ქართულად იტყვიან *გაღორებული*.

თავმდაბალი, მოკრძალებული, გაუბედავი: *Être d'une discrétion de violette*-(პრდ. იასავით მორცხვი) თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანი; ყველაფრის გაკეთება იმისთვის რომ *თავი დაავიწყონ*; *Bâton flottant*-(პრდ. მოტივტივე ჯოხი) 1. ტივტივა; 2. გაუბედავი ადამიანი; *Il a du sang de navet*-(პრდ. თაღამის სისხლისა) გაუბედავი, მხდალი ადამიანი, რომელსაც გამბედაობა და სიმამაცე აკლია.

მოუსვენარი, მღელვარე: *Faire le poirier*-(პრდ. მსხლის ხის გაკეთება) საუბ. თავდაყირა მდგომი ადამიანი; *Mener une vie de bâton de chaise*-(პრდ. სკამის ჯოხებით ცხოვრების წარმართვა) მღელვარედ ცხოვრება; *Être comme l'oiseau sur la branche*-(პრდ. ტოტზე ჩიტით ყოფნა) მოუსვენრობა (ქადეიშვილი, წულაძე-კალატოზიშვილი, ახვლედიანი, ბიბლიეიშვილი, მელიქიშვილი, 1998: 321).

ქარაფშუტა: *Bonbon rose*-(პრდ. ვარდის კამფეტი) ნორჩი, თავქარიანი პიროვნება; *Mauvaise herbe*-(პრდ. სარეველა ბალახი) 1. თავქარიანი, ქარაფშუტა ახალგაზრდა, უსაქმური; 2. რაღაცის ცუდი მხარე; *Coeur d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის გული) თავქარიანი, ქარაფშუტა ადამიანი (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 111).

ერთნაირი შინაარსის მქონე ფიტონიმური იდიომების ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი და განსხვავებული ფორმები ორივე ენაში

ფრანგული და ქართული ენების ფიტონიმური ფრაზეოლოგიური ფონდის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებული იდიომი უფრო მეტია, ვიდრე მსგავსი. თუმცა, ორი სხვადასხვა ჯგუფისა და ტიპის ენების შედარება-შეპირისპირებისას, ეს ბუნებრივი და ლოგიკურიცაა. გამოვყოფთ განსაკუთრებით საინტერესო ორ დიდ ჯგუფს:

1. ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში: *Scier la branche sur laquelle on est assis*-(პრდ. ხტვ.) იმ ტოტის მოჭრა, რომელზედაც ზიხარ, კეთილის მსურველების წინააღმდეგ ბრძოლა; *(C'est) un roseau qui plie à tous (les) vents (ან à tout vent)*-(პრდ. ლერწამი რომელიც (ყოველ) ქარზე იხრება) ლერწამივით აქეთ-იქით იხრება; *Noix dure à briser*-(პრდ. ძნელად გასატეხი კაკალი) კერკეტი კაკალი (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 367); *Rompre la paille (le fétu)*-(პრდ. ჩალის (ჩალის ღეროს) გაწყვეტა) მოძვ. თანხმობის ანულირება; მეგობრული კავშირის გაწყვეტა, ჩვენში ჩალა გაწყვეტილია, ჩვენს შორის ჯოხი გატყდა, ჩვენს შორის ჩხირი გატყდა (Rey, Chantreau, 2015: 668); *Le fruit défendu*-(პრდ. ხტვ.) ხილი აკრძალული; *Un grain d'encens*-(პრდ. საკმევლის მარცვალი) გადატ. გუნდრუკის კმევა, მცირედი პირფერობა, პირში ქება,

მლიქვნელობა; *Ne pas peser un fétu*-(პრდ. ჩალის ღეროს წონისაც არაა) უღირალი, *კაპიკია იმის ფასი, გროშად, ჩალად, კიტრად, ჩირად არ ღირს; ჩალის წონაა; Garder comme la prunelle de ses yeux*-(პრდ. კვრინჩხვიით (გუგასავით) მოფრთხილება) თვალის ჩინივით გაფრთხილება (ქადეიშვილი, წულამდე-კალატოზიშვილი, ახვლედიანი, ბიბილეიშვილი, 2000: 209); *Battre l'eau avec un bâton*-გადატ. წყლის ნაყვა, ამაო მცდელობა, დროის ტყუილად დაკარგვა; *Jeter (s'en pousser, prendre) des racines*-(პრდ. ფესვების გაშვება (ან გაზრდა, გადგმა) ფესვების გადგმა, ფეხის მოკიდება (ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 449), *ბალბასებ ფესვის გადგმა; Être franc comme un osier*-(პრდ. ხტვ.) ტირიფივით გულახდილი, *Porter (ses) fruits*-(პრდ. ხილის მოტანა) ნაყოფის გამოღება, *ნაყოფის მოტანა, იმედის გამართლება; Trembler comme une (la) feuille*-(პრდ. ფოთოლივით თრთოლვა) შიშისგან კანკალი, ვერხვის *ფოთოლივით თრთოლვა*, ცახცახი (Rey, Chantreau, 2015: 410);

2. ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებული ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში. ისინი თავის მხრივ იყოფიან ორ ქვეჯგუფად:

ქვეჯგუფი ა: იდიომები, რომლებიც ორივე ენაში შეიცავენ განსხვავებულ ფიტონიმებს: *Être du bois dont on fait les flûtes*-(პრდ. იმ ხისა იყო რომლისგანაც ფლეიტებს ამზადებენ) დამყოლი ადამიანი, *ლობიო* (Rey, Chantreau, 2015: 88); *La moutarde lui monte au nez*-(პრდ. მდოგვი ცხვირში ასდის) *გაწიწმატებული*; *Être tomate, en rester comme une tomate*-(პრდ. პომიდორივით დარჩენა, ყოფნა) გაოცებული, გაოგნებული; *გაშეშებული*, განადგურებული; *Rougir comme une tomate*-(პრდ. პომიდორივით გაწითლება) *ჭარხალივით გაწითლება*; *Avoir un coeur d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის გულის ქონა) ადამიანი, რომელსაც ადვილად და ხშირად უყვარდება ვინმე, მუდმივად შეყვარებულია; დღეს ერთი უყვარს, ხვალ-მეორე (ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 111), მერყევი, ცვალებადი, თავპარიანი გული, ვერხვიფოთელა; *Cogner un fétu*-(პრდ. ჩალის ღერის მიხეთქება) ღობე-ყორეს ედება; ამაოდ შვრება, ხეს და მიწას ედება; *Cueillir (s'en moissonner) des lauriers (s'en des palmes)*-(პრდ. დაფნების (ან პალმების) დაკრეფა (ან მომკა) *სახელი გაითქვა, მოიხვეჭა, დაფნის გვირგვინი დაიდგა; Se servir de la patte du chat pour tirer les marrons du feu (ახვევ Ttirer les marrons de la patte du chat)*-(პრდ. კატის თათით მომსახურება ცეცხლიდან წაბლების გამოსაღებად) (ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 330) *-სხვისი ხელით ნარის გლეჯა; Faire ses choux gras de...*-(პრდ. კომბოსტოების ცხიმით მომზადება) საუბ. სარგებლის ნახვა, *ხელის მოთბობა, ქერის ორმოში ჩავარდნა; Fraîche comme une pomme d'api*-(პრდ. ლოყაწითელა ვაშლივით ქორფა) ვარდივით ქორფა, ნორჩი; *Avoir mangé de l'oseille*-(პრდ. მჟაუნა ნაჭამი) მდაბ. გაღიზიანებულია, გაბოროტებულია. ქართულში ლექსიკურად მსგავსი ეკვივალენტებია: *გიჟანა ხომ არ გიჭამია? რა წიწაკა გიჭამია? ლენცოვა ხომ არ გიჭამია?* უბრალოდ ქართულში სხვა ბოსტნეული და ბალახებია გამოყენებული, რაც განპირობებულია კულტურული სხვაობითა და გეოგრაფიული მდებარეობით.

ქვეჯგუფი ბ: იდიომები, რომელთა ქართული ეკვივალენტები არ შეიცავენ ფიტონიმებს: *S'en moquer comme d'une cerise*-(პრდ. ალუბალივით დაცინვა) *ფეხებზე დაკიდება*, ყურადღების არ მიქცევა, არად ჩაგდება; *Se soucier de qn autant que (s'en comme) d'un fétu*-(პრდ. ვიღაცაზე ჩალის ღერივით ზრუნვა) საუბ. *ფეხებზე ჰკიდია, არაფრად აგდებს; Cela est cher comme poivre*-(პრდ. ეს წიწაკასავით ძვირია) *ცეცხლის ფასი აქვს*, ძალზე ძვირია; *Avoir de l'oignon s'en Avoir l'oignon qui décalotte*-(პრდ. ხახვის ქონა ან გასახსნელი ხახვის ქონა) არგ. იღბლიანია, *ბედი სწყალობს* (Caradec, 2005: 149); *Se gourer jusqu'au trognon*-(პრდ. ბოსტნეულის გულამდე შეცდომის ჩადენა) ჟარგ. მარცხის მოსვლა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა, ჩაფლავება, *სირცხვილის ჭამა, თავის მოჭრა, თავის შერცხვენა (თავს შეირცხვენს)* (ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 528); *La fin des petits pois*-(პრდ. მწვანე ბარდების დასასრული) *მორჩა და გათავდა, საქმე წასულია*, ამაზე უარესი რაღა იქნება, სრული მარცხია; *Aller aux cerises*-(პრდ. ალუბლებში წასვლა) მარცხის განცდა, იგივე ხელის მოცარვა, ფეხის გადაბრუნება, კისრის წატეხა; *Être ente l'arbre et l'écorce*-(პრდ.

ხესა და ქერქს შორის ყოფნა) საუბ. ორ ცეცხლს შუა; *En avoir gros sur la patate*-(პრდ. კარტოფილზე მძიმედ ქონა) დანადვლიანებული, *იმედგაცრუებული, გულგატეხილი, სულით დაცემული* (Rey, Chantreau, 2015: 687-688); *Juger de l'arbre par l'écorce*-(პრდ. იმსჯელო ხეზე ქერქის მიხედვით) *თვალეებში აქვს ჭკუა* (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 30); *Pomme d'eau*-(პრდ. წყლის ვაშლი) მდაბ. ბრიყვი, ჭკუათხელი, *ჭკუასთან მწყრალი* (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 429), ამ იდიომის ქართული ეკვივალენცია-*ბიძებმა მოუარეს? Avoir le coco fêlé*-(პრდ. დაბზარული ქოქოსის ქონა) საუბ. *სრულ ჭკუაზე* არ არის, *ჭკუა აქვს ნაღრძობი*; *Ne pas être dans les pommes*-(პრდ. ვაშლებში არ ყოფნა) ჭკუაზე, გონებაზე არ არის (გონზე არ არის); *Se ressaisir aux branches*-(პრდ. ტოტების ხელახლა დაუფლება) *ფეხზე წამოდგომა, წელში გამართვა* (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 71); *Souffler des pois*-(პრდ. ბარდების ბერვა) საუბ. 1. ფშვინვა (ძილში); 2. თავი მოაქვს, ცხვირს მაღლა სწევს; *Mettre qn sur la paille*-(პრდ. ვინმეს ჩალაზე დადება) ვისიმე გაკოტრება, *ცარიელზე დასმა, პირში ჩალა გამოავლო, მშრალზე დარჩა*; *La faire à l'oseille*-(პრდ. მჟაუნასავით მომზადება) ვიღაცის მოტყუება დაცინვით, *თვალის ახვევით*; *Avoir le pépin pour...*-(პრდ. ვიღაცისთვის კურკის ქონა) მდაბ. ვინმეს *გულში ჩავარდნა, შეყვარება, თვალის დადგმა*; *Boire à pleines prunelles*-(პრდ. ფართო კვრინჩხებით დაღევა) *თვალს არ ამორებს, მზერას ვერ წყვეტს, თვალი ზედ რჩება, თვალს ვერ სწყვეტს*; *Jouer de la prunelle*-(პრდ. კვრინჩხის/გუგის თამაში) საუბ. *თვალის ჩაკვრა, თვალეების ჟუჟუნნი*; *Grimper au cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმაზე აცოცება) საუბ. გაბრაზება, *გულის მოყვანა*; *Marcher sur une mauvaise herbe*-(პრდ. სარეველა ბალახზე გავლა) *მარცხენა ფეხზე ადგა, ცუდი სიზმარი ნახა* (ბიბლიეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010: 269); *Avoir l'oeil au bois*-(პრდ. ტყეში თვალის ჭერა) ფხიზლად ყოფნა, *ასი თვალი და ასი ყური ექნება*; *Flairer le pot aux roses*-(პრდ. ვარდებიანი ქოთნის ყნოსვა) *გული ცუდს უგრძნობს*; *Rouge comme une cerise*-(პრდ. ალუბალივით წითელი) *გაწითლება*; *Être entre l'orge et l'avoine*-(პრდ. ქერსა და შვრიას შორის ყოფნა) *მერყეობა, ყოყმანი*; *ორ წყალს შუა დგას*; *ორ ცეცხლს შუა დგას*; *Cavaler (ან courir, taper) sur l'haricot (ან le haricot) à qn*-(პრდ. ლობიოზე გაქცევა (ან სირბილი, დარტყმა) თავის მობეზრება, *გულის გაწყალება, გულის გაწვრილება, გაღიზიანება* (ვისიმე); *Avoir une épine dans le coeur*-(პრდ. გულში ეკლის ქონა) *ცუდ გუნებაზე* ყოფნა (ქადეიშვილი, წულაძე-კალატოზიშვილი, ახვლედიანი, ბიბლიეიშვილი, 1999: 107), *გულს დარდი აწევს, გულს სევდა შემოეხვევა*.

დასკვნა. ყოველი ენა სამყაროს აღქმის და მოწყობის უნიკალურ საშუალებებს - სამყაროს ენობრივ სურათებს ფლობს. ფიტონიმებით შედგენილი ენობრივი სურათები კვლევისთვის მნიშვნელოვანი სიმბოლიკისა და ინფორმაციის წარმოჩენის საუკეთესო გზაა. სემანტიკურად რთული კონსტრუქციების-იდიომების უმრავლესობა ძირითადად უარყოფითი ემოციური შეფერილობის მატარებელნი არიან, თუმცა ზოგიერთ ფიტონიმს, ორივე ენაში, ახასიათებს დადებითში გადასვლის ტენდენციაც.

სწორედ ქართული და ფრანგული ენების ფიტონიმური იდიომების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგია მკაფიოდ გამოვლენილი განსხვავებული ოჯახის ენების წარმომადგენელთა შორის არსებული კულტურული, მენტალური და ეთნიკური განსხვავებანი, რომლებიც განსხვავებული ან/და მსგავსი ექსპრესიული და ემოციური მუხტის მატარებელი და კონცეპტუალური აღქმის მაჩვენებელია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბიბილეიშვილი, ც., დარაშვილი, ლ., & გაჩავა რ. (2010). *ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.
- ბრეგაძე, ლ. (2013). *ქართული ჟარგონის ლექსიკონი. 1500-მდე ჟარგონული სიტყვა და გამოთქმა*. თბილისი: გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“.
- თაყაიშვილი, ა. (1961). *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“.
- ნოლაიძელი, ჯ. (1935). *ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან*. ტფილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი. (თ.გ.). *იდიომური გამოთქმების ლექსიკონი*. <https://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>
- იოსებძე, ნ. (2015). *მეურნის ენციკლოპედია*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.
- სახოკია, თ. (1950). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- სახოკია, თ. (1954). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- სახოკია, თ. (1955). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- სახოკია, თ. (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- ქადეიშვილი, ნ., წულაძე-კალატოზიშვილი ნ., ახვლედიანი, ც., ბიბილეიშვილი, ც., & მელიქიშვილი, დ. (1998). *ფრანგულ-ქართული ლექსიკონი*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ქადეიშვილი, ნ., წულაძე-კალატოზიშვილი ნ., ახვლედიანი, ც., & ბიბილეიშვილი, ც. (1999). *ფრანგულ-ქართული ლექსიკონი*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ქადეიშვილი, ნ., წულაძე-კალატოზიშვილი ნ., ახვლედიანი, ც., & ბიბილეიშვილი, ც. (2000). *ფრანგულ-ქართული ლექსიკონი*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თსუ. (თ.გ.). *ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა*. <https://idioms.tsu.ge/>
- ცეცხლაძე, ნ. (2018). *ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები*. თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.
- Caradec, F. (2005). *Dictionnaire du français argotique & populaire*. France: „Larousse“.
- CNTRL. (n.d.). *Centre National de Ressources Textuelles et Lexicales. Portail lexical. Lexicographie*. <https://www.cnrtl.fr/definition/>
- Dicode. (n.d.). Expr: être une courge. In *Dicode.fr dictionary*. Retrieved May 9, 2026, from <https://dicode.fr/mot/expr-etre-une-courge/>
- Dictionnaire Littré. (n.d.). *Dictionnaire de la langue française, par É. Littré*. Electronic version created by François Gannaz. <http://www.littre.org>
- Expressio.fr. (n.d.). *Le dictionnaire des expressions françaises décortiquées-Définition, Origine, Histoire, Étymologie, Encyclopédie - Expressio par Verso*. <https://www.expressio.fr/>
- Expressions Francaises. (n.d.). *Expressions Françaises, Dictons. Définition signification et origines des expressions Françaises*. <https://www.expressions-francaises.fr/>
- Giraud, J-B. (28/10/2016). Que signifie l'expression "en avoir dans le citron"? *CuisineAZ*. <https://www.cuisineaz.com/articles/que-signifie-l-expression-en-avoir-dans-le-citron-664.aspx>
- González-Rey, I. (2015). *La phraséologie du français*. Éditions. Toulouse: „PUM-Presses Universitaires du Midi“.
- L'Internaute. (n.d.). *Expressions de la langue française*. <https://www.linternaute.fr/expression/>

- Rey, A., & Chantreau S. (2015). *Dictionnaire des expressions et locutions*. Le Robert.
- Surguladze, N. (2013). Les particularités ethnoculturelles reflétées dans les paremies. Presses Universitaires de sainte Gemme (PUSG), Sainte Gemme, 251-262.
- Академик. (б.д.). *Словари и энциклопедии на академике*. https://idioms_fr_ru.academic.ru/
- Вольф, Е. М. (2002). *Функциональная семантика оценки*. Москва: изд. „Едиториал УРСС“.
- Кхонг, Т. Х. (2018). *Русские фразеологизмы с названиями растений в лингвокультурологическом аспекте*. Диссертация, Федеральное государственное бюджетное образовательное учреждение высшего образования Воронежский государственный университет.
- Пименова, М. В., & Кондратьева, О.Н. (2011). *Концептуальные исследования*. Москва: изд. „Флинта“. изд. „Наука“.
- Сетаров, Р. Д. (2019, 1 Июнь). *Метафорическая номинация в национальном языковом сознании*. ВЕСТНИК ВГУ. <http://www.vestnik.vsu.ru/pdf/phylogolog/2005/02/setarov.pdf>
- Сутормина, О. А. (2026, 11 Апрель). *Фитоморфизмы в лексике и фраземике донских казачьих говоров*. Вестник Тамбовского университета. <https://cyberleninka.ru/article/n/fitomorfizmy-v-leksike-i-frazemike-donskih-kazachih-govorov>

REFERENCES

- bibileishvili, ts., darashvili, l., & gachava r. (2010). *prangul-kartuli prazeologiuri leksik'oni [French-Georgian Phraseological Dictionary]*. Tbilisi: Publishing House „Diogene“.
- bregadze, l. (2013). *kartuli zhargonis leksik'oni. 1500-mde zhargonuli sit'qva da gamotkma [Dictionary of Georgian Slang. 1500 slang words and word combinations]*. Tbilisi: Publishing House „Bakur Sulakauri“.
- taqaishvili, a. (1961). *kartuli prazeologiis sak'itkhebi [The Problems of Georgian Phraseology]*. Tbilisi: Georgian Academy of Sciences.
- noghaideli, j. (1935). *etnografiuli nark'vevi ach'arela qopa-tskhovrebidan [Ethnographic essay on the life of Adjarians]*. Tiflis: Publishing House „Sakhelgami“.
- ilias sakhelmts'ipo universit'et'is lingvist'ur k'vlevata tsent'ri [The Institute of Linguistic Studies at the Ili State University]. (n.d.). *idiomuri gamotkmebis leksik'oni [Dictionary of idioms]*. <https://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>
- iosebidze, n. (2015). *meurnis entsik'lop'edia [Encyclopedia of Agriculture]*. Tbilisi: Publishing House „Palitra L“.
- sakhok'ia, t. (1950). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani [Georgian Figurative Expressions]*. Vol. I. Tbilisi: Publishing House „Sakhelgami“.
- sakhok'ia, t. (1954). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani [Georgian Figurative Expressions]*. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Sakhelgami“.
- sakhok'ia, t. (1955). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani [Georgian Figurative Expressions]*. Vol. III. Tbilisi: Publishing House „Sakhelgami“.
- sakhok'ia, t. (1979). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani [Georgian Figurative Expressions]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.
- kadeishvili, n., ts'uladze-k'alat'ozishvili n., akhvlediani, ts., bibileishvili, ts., & melikishvili. d. (1998). *prangul-kartuli leksik'oni [French-Georgian Dictionary]*. Vol. I. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

- kadeishvili, n., ts'uladze-k'alat'ozishvili n., akhvlediani, ts., & bibileishvili, ts. (1999). *prangul-kartuli leksik'oni [French-Georgian Dictionary]*. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- kadeishvili, n., ts'uladze-k'alat'ozishvili n., akhvlediani, ts., & bibileishvili, ts. (2000). *prangul-kartuli leksik'oni [French-Georgian Dictionary]*. Vol. III. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- shota rustavelis erovnuli sametsniero pondi [Shota Rustaveli National Science Foundation]. TSU. (n.d.). *kartuli enis idiomebisa da andazebis pondebis monatsemta baza [The database of Georgian idioms and proverbs]*. <https://idioms.tsu.ge/>
- tsetskhladze, n. (2018). *prazeologizmta k'vlevis asp'ekt'ebi [Aspects of Phraseological Research]*. Tbilisi: Publishing House „Iverioni“.
- Caradec, F. (2005). *Dictionnaire du français argotique & populaire*. France: „Larousse“.
- CNTRL. (n.d.). *Centre National de Ressources Textuelles et Lexicales. Portail lexical. Lexicographie*. <https://www.cnrtl.fr/definition/>
- Dicode. (n.d.). Expr: être une courge. In *Dicode.fr dictionary*. Retrieved May 9, 2026, from <https://dicode.fr/mot/expr-etre-une-courge/>
- Dictionnaire Littré. (n.d.). *Dictionnaire de la langue française, par É. Littré*. Electronic version created by François Gannaz. <http://www.littre.org>
- Expressio.fr. (n.d.). *Le dictionnaire des expressions françaises décortiquées-Définition, Origine, Histoire, Étymologie, Encyclopédie - Expressio par Verso*. <https://www.expressio.fr/>
- Expressions Francaises. (n.d.). *Expressions Françaises, Dictons. Définition signification et origines des expressions Françaises*. <https://www.expressions-francaises.fr/>
- Giraud, J-B. (28/10/2016). Que signifie l'expression "en avoir dans le citron"? *CuisineAZ*. <https://www.cuisineaz.com/articles/que-signifie-l-expression-en-avoir-dans-le-citron-664.aspx>
- González-Rey, I. (2015). *La phraséologie du français*. Éditions. Toulouse: „PUM-Presses Universitaires du Midi“.
- L'Internaute. (n.d.). *Expressions de la langue française*. <https://www.linternaute.fr/expression/>
- Rey, A., & Chantreau S. (2015). *Dictionnaire des expressions et locutions*. Le Robert.
- Surguladze, N. (2013). Les particularités ethnoculturelles reflétées dans les paremies. Presses Universitaires de sainte Gemme (PUSG), Sainte Gemme, 251-262.
- Akademik. (n.d.). *Slovari i jenciklopedii na akademike [Academic Dictionaries and Encyclopedias]*. https://idioms_fr_ru.academic.ru/
- Vol'f, E. M. (2002). *Funkcional'naja semantika ocenki [Functional Semantics of Evaluation]*. Moscow: Publishing House „Editorial URSS“.
- Khong, T. H. (2018). *Russkie frazeologizmi s nazvanijami rastenij v lingvokul'turologicheskom aspekte [Russian Phraseologisms with Phytonymic Components-Linguacultural study]*. Thesis. Voronezh State University.
- Pimenova, M. V., & Kondrat'eva, O.N. (2011). *Konceptual'nye issledovanija [Conceptual Study]*. Moscow: Publishing House „Flinta“. Publishing House „Nauka“.
- Setarov, R. D. (2019, 1 Ijun'). *Metaforicheskaja nominacija v nacional'nom jazykovom soznanii. [Metaphorical Nomination in National Linguistic Picture of the World]*. Voronezh State University Journal. <http://www.vestnik.vsu.ru/pdf/phylogolog/2005/02/setarov.pdf>
- Sutormina, O. A. (2026, 11 April'). *Fitomorfizmy v leksike i frazemike donskih kazach'ih govorov [Phytomorphes in Kazakh Lexis]*. Tomsk State University Journal. <https://cyberleninka.ru/article/n/fitomorfizmy-v-leksike-i-frazemike-donskih-kazachih-govorov>